საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM
ბრძანება

ქ. თბილისი

23.03.2022 წელი # 12

TBILISI

სს „სსე“-სთვის ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველების (ფაზების გადამრთველი) გამარტივებული წესით შესყიდვის თაობაზე

მიმდინარე წლის 18 მარტს სს „სსე“-ს შესყიდვების დეპარტამენტში შემოვიდა SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის N 3448 მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ ქ/ს ,,ხორგა-220“-სა და ქ/ს ,,ჯვარი-500“-ში ადგილობრივი მართვის მოწყობილობების უწყვეტი კვების ცვლადი 220 ვოლტის (50 ჰერცი) DC220/AC220 ტიპის დაზიანებული ინვერტორების ახლით ჩანაცვლების მიზნით, საჭიროებას წარმოადგენს 6 ცალი ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველის (ფაზების გადამრთველი) შეძენა.

მოხსენებით ბარათს თანდართული ინვოისის გათვალისწინებით, შესაძენი ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველის (ფაზების გადამრთველი) ღირებულება შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. სს „სსე“-ს შესყიდვების ერთიანი წლიური გეგმით, ზემოაღნიშნული საქონლის (CPV - 31200000) შესყიდვა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით 20-25 დღე).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტენდერის გამოცხადებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებელი 25 დან 50 ლარამდე, ხოლო პრეტენდენტის მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. აღნიშნულს ემატება სატენდერო წინადადების 1%-იანი საგარანტიო უზრუნველყოფა. წინამდებარე შესყიდვაზე გასაწევი ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი.

ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით, ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველის (ფაზების გადამრთველი) შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. 6 ცალი ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველის (ფაზების გადამრთველი) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახსრების რაციონალური ხარჯვის მეთოდით.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით დადგენილი წესის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორთა საბჭოს წევრს დ. ვარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გიგინეიშვილი
გენერალური დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.03.23 11:42:12 +04'00'